საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი

MINISTER OF LABOUR, HEALTH AND SOCIAL AFFAIRS OF GEORGIA

KA030197304531617

საქართველო, თბილისი 0159; აკ.წერეთლის გამზ. 144; ტელ.: (+995 32) 251 00 11; ფაქსი:(+995 32) 251 00 19; ცხელი ხაზი:(+995 32) 251 00 33; 251 15 05; ელ.ფოსტა: info@moh.gov.ge

144 Ak.Tsereteli ave., 0159, Tbilisi, Georgia; Tel.: (+995 32) 251 00 11; Fax:(+995 32) 251 00 19;Hot line:(+995 32) 251 00 33; 251 15 05; E-mail: info@moh.gov.ge

№ 01/71849 **17 / ნოემბერი / 2017 წ.**

საქართველოს სამეგრელო ზემო სვანეთის
სახელმწიფო რწმუნებულს - გუბერნატორს
ბატონ ლევან შონიას

ბატონო ლევან,

როგორც მოგეხსენებათ საქართველოში მიმდინარეობს C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამა, რომელიც უნიკალურია თავისი მასშტაბით და მიზნად ისახავს ქვეყანაში 150 000 C ჰეპატიტით ინფიცირებული პირის გამოვლენას და მკურნალობას. ამავდროულად, უზრუნველყოფილია ქვეყნის მოსახლეობის ტუბერკულოზის და შიდსის დიაგნოსტირებით და მკურნალობით უნივერსალური მოცვა. თუმცა, პაციენტების აქტიური გამოვლენა და მათი მკურნალობაში ჩართვა ჯერ კიდევ გამოწვევად რჩება სამივე დაავადების შემთხვევაში, განსაკუთრებით მაღალი პრევალენტობის რეგიონებში.

აღნიშნული პროგრამების წარმატებით შესრულება და სამიზნე მაჩვენებლების მიღწევა შეუძლებელია ადგილობრივი მთავრობების მხარდაჭერის და ჩართულობის გარეშე. მიმდინარე პროგრამების ეფექტურობის კიდევ უფრო ამაღლების მიზნით სამინისტრო მუშაობს სხვადასხვა ინოვაციურ მიდგომებზე. ამ ინიციატივის ნაწილია აივ ინფექციის/შიდსის, ტუბერკულოზისა და მალარიის წინააღმდეგ ბრძოლის გლობალური ფონდის (The Global Fund to Fight AID, Tuberculosis and Malaria) დაფინანსებული „ტუბერკულოზის ყველა ფორმის ხარისხიან დიაგნოსტიკასა და მკურნალობაზე საყოველთაო ხელმისაწვდომობის მდგრადობის უზრუნველყოფა“ პროგრამის ფარგლებში სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრის მიერ დაგეგმილი პილოტური პროექტი - „ტუბერკულოზის, აივ/ინფექცია შიდსის, C ჰეპატიტის სკრინინგის ინტეგრირება პირველად ჯანდაცვაში და პარტნიორობის განვითარება დაავადებათა ადრეული გამოვლენისთვის სამეგრელოს-ზემო სვანეთის რეგიონში“, რომელიც იქნება პირველი პრეცედენტი, სადაც ყურადღება დაეთმობა დაავადებათა ინტეგრირებული მართვის მოდელის შემუშავებასა და დანერგვას.

პროექტის მიზანია ტუბერკულოზის, აივ/ინფექცია შიდსის, C ჰეპატიტის სკრინინგისა და დროული გამოვლენის შესაძლებლობების განვითარება პირველადი ჯანდაცვის რგოლში, ასევე, ამ მიზნით ადგილობრივ დონეზე სახელმწიფო/კერძო პარტნიორების მობილიზება და ამ დაავადებათა მართვის ჰორიზონტალური ინტეგრაციის ხელშეწყობა.

მოგეხსენებათ, ტუბერკულოზის, აივ ინფექციის/შიდსისა და C ჰეპატიტის დაავადებების გავრცელების რეგიონულ ჭრილში განხილვისას სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში გამოიკვეთა სამივე დაავადების მაღალი

მაჩვენებლები, კერძოდ: C ჰეპატიტით დაავადებულია რეგიონის მოსახლეობის 7.2%, ტუბერკულოზის გავრცელება შეადგენს 135.1 ყოველ 100 000 მოსახლეზე და აივ/ინფექცია შიდსის- 249-ს ყოველ 100 000 მოსახლეზე, რაც მნიშვნელოვნად აღემატება საქართველოს საშუალო მაჩვენებლებს.

ადგილობრივ მთავრობასთან წარმატებული თანამშრომლობის გამოცდილებამ და ზემოთ მოყვანილმა მონაცემებმა განაპირობა პილოტური პროგრამის განხორციელებისათვის სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის შერჩევა.

პრევენციის ყველაზე ეფექტურ გზად მიჩნეულია ადრეული გამოვლენა და მკურნალობა. ქვეყანას ეძლევა რეკომენდაცია უზრუნველყოს მაღალი რისკის ჯგუფების პირთა სულ ცოტა 90%-ის გამოკვლევა ტუბერკულოზზე, აივ/ინფექცია შიდსსა და C ჰეპატიტზე. პილოტური პროექტის ფარგლებში აღნიშნული მიზნის მისაღწევად დაგეგმილია სხვადასხვა აქტივობები, კერძოდ: მოსახლეობის ინფორმირებულობის ამაღლება ტუბერკულოზის, აივ/ინფექცია შიდსის, C ჰეპატიტის შესახებ, პირველადი ჯანდაცვის დონეზე ტუბერკულოზის, აივ/ინფექცია შიდსის, C ჰეპატიტის სკრინინგის სერვისების ინტეგრირებული მოდელის შემუშავება, პირველადი ჯანდაცვის პროვაიდერების, საზოგადოებრივი ჯანდაცვის წარმომადგენლების, არასამთავრობო ორგანიზაციების და თემის წარმომადგენლების ჩართულობის უზრუნველყოფა TB/HIV/HCV დაავადებათა გამოვლენის საკითხებში, ამ მიზნით მოკლევადიანი მულტიდისციპლინური ტრენინგების პროგრამის შემუშავება და ტრენინგების ორგანიზება თითოეულ რაიონში.

აღნიშნული პროექტის წარმატებით განხორციელებისთვის მნიშვნელოვნია რეგიონის/რაიონის ადგილობრივი ხელისუფლების აქტიური ჩართულობა, როგორც მოსახლეობასთან, ასევე რეგიონში არსებულ პირველადი ჯანდაცვის რგოლთან მიმართებაში. პროგრამას ახორციელებს სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი საოჯახო მედიცინის ეროვნულ სასწავლო ცენტრთან ერთად.

გთხოვთ, ხელი შეუწყოთ დაგეგმილი ღონისძიებების განხორციელებას, რომლის წარმატების შემთხვევაში სამეგრელო-ზემო სვანეთი გახდება მოდელი სხვა რეგიონებისთვის, სადაც გაზიარებული იქნება მიღებული გამოცდილება.

პატივისცემით,

მინისტრი



დავით სერგეენკო